განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე
„ერუშეთის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია, ახალციხის და ასპინძის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე, ახალი დაცული ტერიტორიის - ერუშეთის ეროვნული პარკის დაარსება და მის მართვასთან დაკავშირებული ძირითადი სამართლებრივი საკითხების მოწესრიგების საჭიროება.

1990-1991 წლებში დამუშავდა საქართველოში დაცული ტერიტორიების სივრცითი სტრუქტურის განვითარების პირველი სქემა, რომლის შემუშავებაშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ქართველი და გერმანელი ექსპერტები. აღნიშნული სქემის ფარგლებში უნდა დაარსებულიყო ეროვნული პარკები საქართველოს შემდეგ რეგიონებში: კოლხეთის დაბლობი, ცენტრალური კავკასიონი, ფშავ-ხევსურეთ-თუშეთი, მთიანი კახეთი, ივრის ზეგანი, ბორჯომი და აჭარა-გურია-იმერეთი. დღეის მდგომარეობით დაარსებულია „კოლხეთის ეროვნული პარკი“, „ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი“, „თუშეთის ეროვნული პარკი“, „ვაშლოვანის ეროვნული პარკი“, „ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი“. დარჩენილია ეროვნული პარკების დაარსება ცენტრალურ კავკასიონზე და ერუშეთში. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2016-2017 წლებში, გერმანიის მთავრობის (BMZ) დაფინანსებით და ბუნების მსოფლიო ფონდის (WWF) ტექნიკური ხელშეწყობით, ერუშეთის ეროვნული პარკის დაარსების მიზნით, ჩატარდა დეტალური კვლევები ბიომრავალფეროვნების (ფლორა, ფაუნა, ეკოსისტემები) და სოციალურ-კულტურული ასპექტების მიმართულებით, ასევე, გაანალიზდა ეროვნული პარკის შექმნის დადებით მხარეები საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარების კონტექსტში. ზემოაღნიშნული კვლევების თანახმად, ერუშეთის დაცული ტერიტორიის ბიომრავალფეროვნების გამორჩეულობას, უპირველესად, განსაზღვრავს მისი გარდამავალი ბიოგეოგრაფიული მდებარეობა კოლხეთის ტენიან მთებს, მცირე კავკასიონის ზომიერ ცენტრალური ნაწილსა და ჯავახეთის კონტინეტურ ზეგანს შორის. აღნიშნულ ტერიტორიაზე გავრცელებულია უნიკალური სახეობრივი შემადგენლობის მქონე ტყეები, ბუჩქნარები და ბალახეული თანასაზოგადოებები. ასეთია, მაგალითად, სამხრეთ კავკასიური ტიპის ნაძვნარები (*Picea orientalis*) და ნაძვნარ-სოჭნარები (*Abies nordmanniana*). ერუშეთი (ერუშეთის მასივის თურქული ნაწილის ჩათვლით) ნაძვის გავრცელების უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარია. თითქმის იგივე ითქმის სუბალპური არყნარებსა (*Betula litwinowii*) და დეკიანზე (*Rhododendron caucasicum*). ასევე, ორიგინალური სახეობრივი კომპოზიციით (სადაც ტენისა და სიმშრალის მოყვარული სახეობები გვერდიგვერდ ხარობენ) გამოირჩევიან - მუხნარების (*Quercus iberica, Q. macranthera*), წიფლნარების (*Fagus orientalis*) და ფიჭვნარების (*Pinus kochiana*) თანასაზოგადოებები. ეროვნული პარკის მცენარეულობის მრავალფეროვნებას, ასევე, ქმნიან მაღალმთის ნაირგვარი მდელოები და მდელოსებრი სტეპები. კლდოვან ჰაბიტატებში გავრცელებულია ლოკალური ენდემური და იშვიათი სახეობები ასპინძის, ლეონიდას, მესხეთის გლერძები *(Astragalus aspindzicus, A. leonidae, A. meskheticus),* აწყურის მიხაკი *(Dianthus azkurensis),* მესხეთის ესპარცეტი *(Onobrychis meskheticus), ვარძიის ცერცველა (Vicia vardziae)*, ტიგრანის დიდგულა (*Sambucus tigranii*), - ეს უკანასკნელი გლობალურად საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობაა, შეტანილია საერთაშორისო/IUCN-ის წითელ ნუსხაში კატეგორიით VU - მოწყვლადი, ასევე, შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, კატეგორიით CR - კრიტიკული საფრთხის ქვეშ მყოფი. საქართველოს წითელ ნუსხით დაცული ხე-მცენარეებიდან, გარდა რელიქტური მაღალმთის მუხისა (*Quercus macranthera*), რომელიც საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული აღნიშნულ ტერიტორიაზე, მთის ზედა სარტყლებში აღსანიშნავია ასევე უხრავი (*Ostrya carpinifolia*) (უხრავის ტყის ფრაგმენტები გვხვდება ურაველის ხეობაში). დიდი ზომის ძუძუმწოვრებიდან აღსანიშნავია: მურა დათვი (*Ursus Arctos*), ევრაზიური ფოცხვერი *(Lynx lynx*) და არჩვი (*Rupicapra rupicapra*) - საქართველოს წითელი ნუსხის სახეობები; ჩვეულებრივია მაჩვი (*Meles*

meles), შველი (*Capreolus capreolus*) და გარეული ღორი (*Sus scrofa*). მცირე ზომის ძუძუმწოვრებიდან ცალკე აღსანიშნავია გლობალურად საფრთხის ქვეშ მყოფი ჭრელტყავა (*Vormela peregusna*). ქვეწარმავლებიდან გამორჩეულია დარევსკის გველგესლა (*Vipera darevskii*) - სახეობა, რომელსაც უმაღლესი კატეგორია (CR - კრიტიკული საფრთხის ქვეშ მყოფი) აქვს მინიჭებული IUCN-ის წითელ ნუსხაში. ფრინველებიდან გავრცელებულია საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი, კავკასიური როჭო (*Lirurus mlokosiewiczi*) და კასპიური შურთხი (*Tetraogallus caspius*), ასევე, გლობალურად გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ფასკუნჯი (*Neophron percnopterus*) და ბექობის არწივი (*Aquila heliaca*). თევზებიდან აღსანიშნავია საქართველოს წითელი ნუსხის სახეობა - ნაკადულის კალმახი (*Salmo trutta*).

ერუშეთის ეროვნული პარკის დაარსებით უზრუნველყოფილი იქნება აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული მდიდარი ბიომრავალფეროვნების დაცვა. ასევე, დაცული ტერიტორიის შექმნა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეგიონში ტურიზმის განვითარებას და ტრანსასაზღვრო თანამშრომლობის გაღრმავებას თურქეთის რესპუბლიკასთან. აქვე მხედველობაშია მისაღები, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პირობებში სწორედ დაცულმა ტერიტორიებმა უნდა უზრუნველყონ საქართველოს გამორჩეული ბუნებრივი მრავალფეროვნებისა და მოსახლეობისთვის ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება. შესაბამისად, ამ თვალსაზრისითაც, ბუნებრივი ტერიტორიების ტრანსფორმაციის შეჩერების, მათი სამეურნეო ზეწოლისაგან დაცვის მიზნით, დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბებასა და არსებული დაცული ტერიტორიების გაფართოებას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის (საქართველოს მთავრობის 08/05/2014 N343 დადგენილება) თანახმად, საჭიროა ტრანსსასაზღვრო კავშირების უზრუნველყოფა მეზობელი ქვეყნების დაცული ტერიტორიების სისტემებთან. ამ მხრივაც ერუშეთის ეროვნული პარკის დაარსება მნიშვნელოვანია, ვინაიდან სახელმწიფო საზღვარი, საქართველოსა და თურქეთს შორის, ერუშეთის მთიანეთს დაახლოებით ორ თანაბარ ნაწილად ჰყოფს. თურქეთის მხარეს მდებარეობს ფოსოვის (ქართულად - ფოცხოვის) აღკვეთილი, რომელიც შედის თურქეთის დაცული ტერიტორიების ეროვნულ სისტემაში. ერუშეთის ეროვნული პარკი და ფოსოვის აღკვეთილი ერთმანეთს 38,9 კმ-ის მანძილზე ესაზღვრებიან. ფაქტობრივად, ეს არის ერუშეთის მასივის ერთიანი ეკოსისტემა და ეს ყველაფერი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის მყარ საფუძველს შექმნის, ასევე, ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას. ამასთან, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად საქართველოში დაცული ტერიტორიების შექმნის, ტერიტორიული გაფართოებისა და დაცვითი კატეგორიის ამაღლების გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

„ერუშეთის ეროვნული პარკის“ დაარსებისათვის განსაზღვრული ტერიტორია აკმაყოფილებს როგორც „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტს („ეროვნული პარკისათვის შეიძლება შეირჩეს შედარებით დიდი ბუნებრივი სახმელეთო ტერიტორია ან/და აკვატორია, სადაც წარმოდგენილია უნიკალური, იშვიათი ან საფრთხის წინაშე მყოფი ერთი ან რამდენიმე დაუზიანებელი ან ნაკლებად დაზიანებული ეკოსისტემა, ბიოცენოზი და საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობა“), ასევე, საერთაშორისო კონვენციას ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (CBD - Convention on Biological Diversity; საქართველო მხარეა 1994 წლიდან), კერძოდ, მისი ახალი სტრატეგიის (აიჩი 2020) მე-11 სტრატეგიულ მიზანს, რომელიც ადგენს, რომ „2020 წლისთვის, ხმელეთისა და შიდა წყლების ფართობის, სულ მცირე, 17% და სანაპიროსა და საზღვაო ფართობის 10%, განსაკუთრებით ის არეები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური სერვისების თვალსაზრისით, მოქცეული იქნას დაცული ტერიტორიების საზღვრებში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი შედგება ცხრა მუხლისგან. პირველი მუხლით განსაზღვრულია კანონის რეგულირების სფერო. მე-2 მუხლით - კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები. მე-3 მუხლით განსაზღვრულია ერუშეთის დაცული ტერიტორიების კატეგორიები, კერძოდ: ერუშეთის ეროვნული პარკი და ერუშეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია (დამხმარე ზონა). მე-4 მუხლით დგინდება ერუშეთის ეროვნული პარკის ფართობი (11 385 ჰექტარი) და საზღვრები. მე-5 მუხლი განსაზღვრავს ერუშეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაში (დამხმარე ზონა) შემავალ სოფლებს (ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლები: აბათხევი, მინაძე, მუსხი, პატარა პამაჯი, საძელი, ურაველი, წყალთბილა, ხეოთი (აქვე აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი არ ითვალისწინებს მუნიციპალიტეტისთვის რაიმე სახის ვალდებულებების დაკისრებას ან უფლებამოსილების შეზღუდვას. მუნიციპალიტეტი ისარგებლებს ყველა იმ ბენეფიტით, რაც მოყვება ტერიტორიაზე ეროვნული პარკის დაარსებას და მასთან დაკავშირებული შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას). მე-6 მუხლით რეგულირდება ერუშეთის ეროვნული პარკის დაცვისა და გამოყენების რეჟიმი, მათ შორის, სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში საქმიანობის განხორციელების წესი. მე-7 მუხლით მოწესრიგებულია ერუშეთის ეროვნული პარკის მართვის საკითხი, კერძოდ, ერუშეთის ეროვნული პარკის მართვა განხორციელდება „დაცული ტერიტორიების სიტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის საფუძველზე. მე-8 მუხლში მოცემულია გარდამავალი დებულება, რომელიც ადგენს, რომ ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ამ კანონის ამოქმედებამდე, დაცული ტერიტორიის საზღვრებში არსებულ მიწათსარგებლობის, სასარგებლო წიაღისეულით და ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე. მე-9 მუხლით დადგენილია კანონის ძალაში შესვლის თარიღი (კანონის ძალაში შესვლა გათვალისწინებულია 2021 წლის პირველი იანვრიდან).

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი შეესაბამება 2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამის 2.8.2 პუნქტით განსაზღვრული მიზანს - „სახელმწიფო უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიების გაფართოებასა და ეკოტურიზმის ხელშეწყობას.“

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონის ამოქმედების თარიღი არ უკავშირდება რაიმე ვალდებულებას. მისი ძალაში შესვლა გათვალისწინებულია 2021 წლიდან.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება 2020 წლის ბიუჯეტზე გავლენას არ იქონიებს, ვინაიდან ეროვნული პარკის რეალური გადმობარების პროცესი დაიწყება ზამთრის სეზონის დასრულების შემდეგ, 2021 წლის გაზაფხულზე, რა დროსაც ახალი დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციაც უკვე დაკომპლექტებული იქნება. რაც შეეხება შემდგომ წლებს, 2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოსაყოფი თანხაა - 506 000 ლარი (თანამშრომლების შრომის ანაზღაურება - 186 000 ლარი, კაპიტალური ხარჯი - 80 000 ლარი (ადმინისტრაციული შენობის მოსაწყობად), საქონელი და მომსახურების ხარჯები - 240 000 ლარი (ზამთარ-ზაფხულის უნიფორმის, ზამთარ-ზაფხულის ფეხსაცმელის, ავტომაქანის, ცეცხლსასროლი იარაღის, სამკერდე კამერების და სხვა სპეციფიკური აღჭურვილობის შეაძენად). რაც შეეხება შემდგომ წლებს (2022-2024), სახელმწიფო ბიუჯეტიდან,

ყოველწლიურად, საჭირო იქნება, სსიპ დაცული ტერიტორიების ახალი თანამშრომლების შრომის ანაზღაურებისთვის მიიმართოს 186 000 ლარი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება დადებით გავლენას იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან იგი ხელს შეუწყობს ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარებასა და რეკრეაციული პოტენციალის სრულად გამოყენებას, რაც თავის მხრივ, რაციონალური დაგეგმვისა და მართვის პირობებში უახლოეს მომავალში მნიშვნელოვანი შემოსავლების მიღების წყაროდ შეიძლება იქცეს, როგორც საბიუჯეტო შემოსავლების, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდის კუთხითაც. გარდა ამისა, კანონპროექტი იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, კერძოდ, ბიუჯეტში, საშემოსავლო გადასახადის სახით, ყოველწლიურად, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს (ერუშეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის) თანამშრომლების ხელფასიდან მიიმართება 37 200 ლარი.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფასთან. 2020 წელს ხარჯები არ არის გათვალისწინებული, რადგან პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე (ზამთრის კლიმატური პირობების გათვალისწინებით), დაცული ტერიტორიის რეალური შექმნა უშუალოდ დაიწყება 2021 წლის გაზაფხულიდან. შესაბამისად, ამ პერიოდისთვის ჩამოყალიბდება ასევე დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციაც. შესაბამისად, 2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოსაყოფი თანხა შეადგენს 506 000 ლარს. 2021 წლიდან, ერუშეთს ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში დასაქმდება 16 მოქალაქე (ძირითადად ადგილობრივი მოსახლე): 1 დირექტორი, 1 დაცვის განყოფილების უფროსი, 1 ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტი, 1 ვიზიტორთა მომსახურების უფროსი სპეციალისტი, 2 უბნის უფროსი რეინჯერი და 10 რეინჯერი. წინამდებარე ცხრილის შესაბამისად:

№	**თანამდებობა**	**რაოდენობა**	**თანამდებობრივი სარგო (ლარი)**	**სულ წლის განმავლობაში (ლარი)**
1	დირექტორი	1	1600	19 200
2	დაცვის განყოფილების უფროსი	1	1100	13 200
3	ვიზიტორთა მომსახურების უფროსი სპეციალისტი	1	900	10 800
4	ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტი	1	900	10 800
5	უბნის უფროსი რეინჯერი	2	1000	24 000
6	რეინჯერი	10	900	108 000
		სულ		186 000

შესაბამისად, 2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა განაწილდება შემდეგი პროპორციით:

ერუშეთის ეროვნული პარკის ბიუჯეტი 2021 წელს	ლარი
სულ	506 000
მ.შ. შრომის ანაზღაურება	186 000
საქონელი და მომსახურება	240 000
კაპიტალური ხარჯი	80 000

დღეის მდგომარეობით 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული აღნიშნული კანონპროექტით მოთხოვნილი თანხა და შტატების ოდენობა, თუმცა კანონპროექტის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღების შემდგომ, ფინანსთა სამინისტროს მიერ მოხდება შესაბამისი საშტატო ერთეულებისა და საჭირო დაფინანსების მოძიება და სსიპ დაცული ტერიტორიების ააგენტოს ბიუჯეტში ასახვა, რაზეც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მხრიდან გამოთქმულია თანხმობა. რაც შეეხება შემდგომ წლებში (2022-2024) გასაწევ ხარჯებს, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ახალი თანამშრომელების შრომის ანაზღაურებისთვის ყოველწლიურად, საჭირო იქნება ბიუჯეტიდან 186 000 ლარის მიმართვა, ხოლო ახალი დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის ფუნქციონირებისთვის საჭირო შესაძლო სხვა ხარჯები დაიფარება სსიპ დაცული ტერიტორიის სააგენტოს საკუთარი შემოსავლებიდან და დონორებისგან მიღებული თანხებით.

ამასთან ერთად, სხვა ხარჯები, რაც დაკავშირებულია მაგალითად, სახელმწიფო საზღვრის დაცვასთან, მისი ინფრასტრუქტურის მოწყობასთან და სხვ., საჭიროების შემთხვევაში, ისევე როგორც დღეს, განხორციელდება შესაბამისი კომპეტენტური უწყების - სასაზღვრო პოლიციის მიერ, მისთვის განსაზღვრული ასიგნებებით.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტი იქონიებს ფინანსურ გავლენას (მიღებული შრომის ანაზღაურების სახით) იმ 16 პირის მიმართ, რომლებიც დასაქმდებიან ერუშეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში, ამ კანონით განსაზღვრული ტერიტორიის მართვის მიზნით. ასევე, კანონპროექტი გავლენას მოახდენს ერუშეთის ეროვნული პარკის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაზე იმ თვალსაზრისით, რომ დაცულ ტერიტორიაზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა/განვითარება მოიზიდავს მეტ ვიზიტორს, რაც დამატებითი შემოსავლის წყარო გახდება ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის.

ამასთან, კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ განხორციელებულ ტრადიციულ საქმიანობაზე, რომელსაც ისინი ეწევიან ტყეში (საშეშე მერქნის მოპოვება, საქონლის ძოვება და ა.შ.). აღნიშნულ საქმიანობებს მოქალაქეები განახორციელებენ ჩვეულებრივად, ისევე როგორც ეს ხორციელდება სხვა დაცულ ტერიტორიებზე. კანონპროექტი აგრეთვე არ შეზღუდავს იმ პირებს, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე ფლობდნენ დაცულ ტერიტორიაზე არსებულ უძრავ ქონებას, ლიცენზიას გარკვეულ საქმიანობაზე და ა.შ. აღნიშნული ურთიერთობებიც ასევე გაგრძელდება დადგენილი წესით.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის მომზადების პროცესში ჩართული იყო ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის პროგრამის ოფისი.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ ამომხადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცული ტერიტორიების სააგენტო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.